ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარისა და თბილისის ზღვისუბნის მაჟორიტარის,

თამარ ტალიაშვილის

2018 წლის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის დეპუტატის, თამარ ტალიაშვილის მიერ 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში

2017 წლის 14 ნოემბრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით, გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 და ბიუროს 28 სხდომა; მიღებულ იქნა 397 განკარგულება და 127 დადგენილება. დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 სხდომის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ ჩაატარა 33 სხდომა, რომელზეც განხილული იყო 53 საკითხი. დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 27 სხდომაში და განიხილა 42 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში თამარ ტალიაშვილმა, რომლიც ასევე, არის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, მონაწილეობა მიიღო კომისიის 10 სხდომაში და განიხილა 14 საკითხი. აღნიშნულმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 16 სხდომა და განიხილა 22 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიამ, რომლის თავმჯდომარე არის თამარ ტალიაშვილი, გამართა კომისიის 22 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 30 საკითხი, მათ შორის:

1. **სხდომა – 9 ნოემბერი, 2017 წელი**
   1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა;
   2. სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლისთვის სახელის ცვლილების განხილვა;
2. **სხდომა – 17 ნოემბერი, 2017 წელი**
   1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-031731944-03);
   2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბადრი გიორგიძის დანიშვნის თაობაზე თანხმობს მიცემის შესახებ (19-031732038-03).
3. **სხდომა – 20 ნოემბერი, 2017 წელი**
   1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (#12-031731434-03; 10.11.2017).

4. **სხდომა – 5 დეკემბერი, 2017 წელი**

   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031733421-03; 30.112017).

5. **სხდომა – 14 დეკემბერი, 2017 წელი**

   1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031734272-03-08/12/2017).
   2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-03173414-03; 07.12.2017);
   3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრეულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა;

6. **სხდომა – 26 დეკემბერი, 2017 წელი**

   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031735686-03; 22.12017).

7. **სხდომა – 16 იანვარი, 2018 წელი**

   1.1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების შერწყმა; (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების ცვლილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულება და საშტატო ნუსხა).

   1.2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობების ტიპური დებულება და საშტატო ნუსხა.

8. **სხდომა – 16 თებერვალი, 2018 წელი**

   1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0318044124-03).

9. **სხდომა – 21 თებერვალი, 2018 წელი**
    1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვა (12-031804637, 15.02.2018).

10. **სხდომა – 6 მარტი, 2018 წელი**
    1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების თაობაზე“ (12-03180607-03; 01.03.2018);
    2. ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცებისთაობაზე (12-03180531-03; 22.02.2018):

ა) ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის ღონისძიებები“ (08.05), „შემოქმედებითი თბილისი“ (08.09) დ „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (08.13) განხორციელების წესები (12-03180531-03; 22.02.2018);

ბ) ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (07.04) ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროქტების ხელშეწყობა“ (07.02.01), „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (07.05.01), „სპორტული ღონისძიებები“ (08.06.01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (08.08.01) განხორციელების წესი (12-03180531-03; 22.02.2018);

გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (07.05.03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალური დაუცველი სტუდენტების

დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხები (12-03180531-03; 22.02.2018).

11. **სხდომა – 15 მარტი, 2018 წელი**
    1. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ანგარიში განხორციელებული სამუშაოების შესახებ (22.11.2017 – 22.02.2018).
12. **სხდომა – 30 მარტი, 2018 წელი**
    1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის“ (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილი: №12-03180797-03; 20.03.2018).
13. **სხდომა – 13 აპრილი, 2018 წელი**
    1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
    2. სსიპ ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების საკითხი;
    3. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადება ქართველი პოეტის ვანლერ დაისელის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.
14. **სხდომა – 31 მაისი, 2018 წელი**
    1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშის განხილვა;
15. **სხდომა – 12 ივნისი, 2018 წელი**
    1. ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთადაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-031815226-03; 01.06.2018).

16. **სხდომა – 25 ივნისი, 2018 წელი**
    1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - ,,კულტურული ღონისძიებები'' (კოდი: 08 05) - ფარგლებში კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა.
17. **სხდომა – 20 ივლისი, 2018 წელი**
    1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების" (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.
18. **სხდომა – 27 ივლისი, 2018 წელი**
    1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
19. **სხდომა – 17 აგვისტო, 2018 წელი**
    1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ალექსანდრე ტოგონიძის (პ/ნ 01024044237) დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (N12-031822769-03).
20. **სხდომა – 25 სექტემბერი, 2018 წელი**
    1. სსიპ ქალაქ თბილისის 106-ე საჯარო სკოლისთვის ზურა იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე (19/031826467-03; 24.09.2018).
21. **სხდომა – 4 ოქტომბერი, 2018 წელი**
    1. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2018 წლის 9 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა.
22. **სხდომა – 22 ოქტომბერი, 2018 წელი**

1.1. „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

1.2. „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თამარ ტალიაშვილი აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქში მიმდინარე პროექტების გადაწყვეტის პროცესში. იგი არის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შემდეგი კომისიებისა და საბჭოების წევრი:

1. თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია;
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების განმხილველი კომისია.

სამუშაო შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით გაიმართა სხვადასხვა შინაარსის სამუშაო შეხვედრები, მათ შორის:

- **გაფართოებული შეხვედრა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში კვების სტანდარტებთან დაკავშირებით**

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციტივით, საკრებულოში გაფართოებული შეხვედრა გაიმართა, რომელზეც საბავშვო ბაგა-ბაღების კვებასთან დაკავშირებულ საკითხზე იმსჯელეს. შეხვედრაში მთავრობის ადმინისტრაციის, გაეროს ბავშვთა ფონდის, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიის და ბაგა-ბაღების სააგენტოს წარმომადგენლები, ასევე, დარგის ექსპერტები და მშობლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ახალი სტანდარტების შესახებ პრეზენტაცია შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მარინე ბაიდაურმა წარადგინა. აღნიშნული დოკუმენტის მთავარი კრიტერიუმები სწორი კვების რეფორმის ორგანიზებაა.

- **სამუშაო შეხვედრა ადრეული განათლების თანამდეროვე სასწავლო ტექნოლოგიების შესახებ**

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, კომისიის წევრებმა საბავშვო ბაგა-ბაღებში ადრეული განათლების თანამდეროვე სასწავლო ტექნოლოგიების თაობაზე იმსჯელეს. პრეზენტაცია, ნეიროპლასტიურობისა და ადრეული განათლების თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებს შეეხებოდა და ის ორგანიზაციის „ბიბლიოთეკა - კულტურული ცენტრი თანადგომა," სწავლების ახალი ტექნოლოგიების პროგრამის დირექტორმა ნანა გეგელიშვილმა წარმოადგინა.

შეხვედრას ასევე, ესწრებოდა ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს" წარმომადგენელი.

შეხვედრაზე წარმოდგენილ ახალი სასწავლო ტექნოლოგიების შექმნას წინ უძღვოდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმადაც, მეცნიერები აქცენტს ადრეულ განათლებაზე აკეთებენ, რადგან ბავშვის ტვინი ყველაზე სწრაფად 2-დან 6 წლამდე ვითარდება.

შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

- **შეხვედრა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენლებთან**

თამარ ტალიაშვილი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოციალური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელს თამარ სირბილაძესა და განათლების პროექტების სპეციალისტს მედეა კაკაჩიას შეხვდა. შეხვედრა თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, ერთობლივი სამომავლო თანამშრომლობის გზების განხილვის მიზნით გაიმართა.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს USAID-თან იმ წარმატებული თანამშრომლობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც არაერთი ერთობლივი წარმატებული პროექტი განხორციელდა.

USAID-ს წარმომადგენლები და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თამარ ტალიაშვილი, სფეროს განვითარების მიზნით ორმხრივი თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

- **შეხვედრა დონორ ორგანიზაციებთან საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერის გაძლიერების შესახებ**

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, საკრებულოში საქართველოში მომუშავე 30-მდე დონორ ორგანიზაციასთან შეხვედრა გაიმართა.

მოწვეულ სტუმრებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე მიესალმა და მადლობა გადაუხადა საქართველოში განხორციელებული პროექტების, მათ შორის, განათლების სფეროში გაწეული კონტრიბუციისთვის. საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, განათლების სფეროში ხელისუფლების პრიორიტეტები

საკმაოდ მრავალფეროვანია, დაწყებული სკოლამდელი აღზრდით და დამთავრებული პროფესიული თუ უწყვეტი განათლებითა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით.

საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა თავის გამოსვლაში აქცენტი გააკეთა განათლების პოლიტიკასა და სტრატეგიულ ხედვებზე, გაერო-ს მდგრადი განვითარების SDG 2030 ერთ-ერთი ცენტრალური მიზნის - ხარისხიანი განათლების მიღწევაში მუნიციპალური პროგრამების მნიშვნელობაზე და ამ პროცესში თბილისის, როგორც დედაქალაქის როლზე.

დონორ ორგანიზაციებთან საკოორდინაციო შეხვედრა ,,ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს'' ორგანიზებით გაიმართა.

შეხვედრაზე მოწვეულმა დონორმა ორგანიზაციებმა, თავის მხრივ, საქართველოში განათლების სფეროში მიმდინარე პროექტებზე და პრიორიტეტებზე პრეზენტაციები წარმოადგინეს.
შეხვედრისას მხარეები შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობასა და პროექტებზე.

განცხადებები

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ მიიღო 382 წერილი, რაზეც მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოხდა შესაბამისი რეაგირება.

მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა პირად შეხვედრაზე მიიღო 100-მდე მოქალაქე. მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი საკითხი პირადად განეხილათ კომისიის თავმჯდომარესთან.

ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიცირებით მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

- **წიგნის საჯაროდ კითხვის დღე თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში**

თამარ ტალიაშვილის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, ინიციატივით, თბილისის მასშტაბით საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში წიგნის საჯაროდ კითხვის დღე მესამე წელია აღინიშნება.

წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრები ოქროყანაში N162 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღს ესტუმრნენ. მათ ცნობილ ქართველ მსახიობებთან - ლაშა რამიშვილი, ნინო კასრაძე, მალხაზ გაბუნია, ქეთი მახათაძე - ერთად ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს საბავშვო მოთხრობები წაუკითხეს და მათ განათლებისა და წიგნიერების მნიშვნელობაზე ესაუბრნენ.

- **შეხვედრა პროგრამის - „მომავალი პოლიტიკოსების სკოლა გოგონებისთვის“ მონაწილეებთან**

საკრებულოში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰელფინ-ჰენდის“ პროექტის „მომავალი პოლიტიკოსების სკოლა 16–21 წლამდე გოგონებისთვის“ მონაწილეებთან შეხვედრა გაიმართა.

პროექტის მონაწილეებს საკრებულოს დეპუტატებმა, მარიკა დარჩიამ, ანა ლაშხმა, ქეთევან ჯოხაძემ, რიმა ბერაძემ, გულია გოცირიძემ და ირაკლი ზარქუამ, თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გააცნეს და გამოცდილება გაუზიარეს.

თამარ ტალიაშვილმა ახალგაზრდებს გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით, განხორციელებული პროექტის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციასთან თანამშრომლობით საქართველოს 4 რეგიონში განხორციელდა.

პროგრამა ამერიკული ფონდის World Connect -ის მხარდაჭერით და ყოფილი მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისის რეიჩელ ვულფის ინიციატივით ხორციელდება. შეხვედრაზე დაიგეგმა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობა.

- **დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის, ინიციატივით საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, სოციალური საწარმოს ,,ბაბალე'' მოზარდების ნამუშევრების და ასევე, 23 წლის ლექსო ფოდიაშვილის ნახატების გამოფენა მოეწყო.

ღონისძიების ფარგლებში, საკრებულოს წევრებმა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან ერთად ხელნაკეთი ნივთების მოხატვაში მიიღეს მონაწილეობა.

- **ტრადიციული რეწვისა და დიზაინის თბილისის II საერთაშორისო სამიტის „ეთნოფესტი 2018“ პრეზენტაცია**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ტრადიციული რეწვისა და დიზაინის თბილისის II საერთაშორისო სამიტის „ეთნოფესტი 2018“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი უძღვებოდა.

პრეზენტაცია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თბილისის მერიასა და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ შორის 2015 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში მოეწყო. მემორანდუმის ფარგლებში 2015 წლიდან არაერთი წარმატებული პროექტი, მათ შორის, მასტერკლასები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები და გამოფენები მოეწყო.

„ეთნოფესტი 2018“-ის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის, აშშ-ს საელჩოს კულტურის ატაშემ დამიან ვამპლერმა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარემ, გიორგი ჩოგოვაძემ და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს

დირექტორის მოადგილემ ზვიად ქვლივიძემ ხაზი გაუსვეს ტრადიციული რეწვის ხელშეწყობის მნიშვნელობაზე საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებაში.

ღონისძიების დასასრულს სფეროში მოღვაწე ხელოვანებსა და მეწარმეებს კითხვა-პასუხის რეჟიმში შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ დამატებითი ინფორმაცია სამიტის შესახებ.

- **მუზეუმების საერთაშორისო დღის აღნიშვნა თბილისის მუნიციპალურ მუზეუმებში**

თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, მუზეუმების კვირეულის ფარგლებში, პროექტი „თბილისის მუზეუმების კვირეული“ მოეწყო. პროექტი ა(ა)იპ „თბილისის მუზეუმების გაერთიანებასთან“ ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელდა და მის მიზანს მოსწვალეების ჩართულობა თბილისის მუზეუმების მრავალფეროვან შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებში და ამ გზით, მათი პოპულარიზაცია და იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა წარმოადგენდა.

აღნიშნული პროექტით თბილისის საკრებულო მუზეუმების საერთაშორისო დღის აღნიშვნას შეურთდა, რომელიც 1977 წლიდან მუზეუმების საერთშორისო საბჭოს ICOM-ის გადაწყვეტილებით 18 მაისს ყოველწლიურად მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება.

დეპუტატ თამარ ტალიაშვილის საქმიანობის ანგარიში სამაჟორიტარო რაიონში, ზღვისუბანში

შეხვედრები მოქალაქეებთან

თამარ ტალიაშვილმა, საანგარიშო პერიოდში, თავისზღვისუბნის წარმომადგენლობაში პირად შეხვედრაზე მიიღო 1000-ზე მეტი მოქალაქე. გარდა ამისა, ზღვისუბანში (თემქა) განხორციელებული პროექტებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ფარგლებში, დეპუტატი ადგილზე შეხვდა 1000-ზე მეტ ადამიანს.

განცხადებები

საანგარიშო პერიდოში მაჟორიტარმა თამარ ტალიაშვილმა მიიღო 232 წერილი, რაზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება არსებული კანონმდებლობის დაცვით.

საანგარიშო პერიოდში მაჟორიტარი დეპუტატის, თამარ ტალიაშვილის კოორდინირებული მუშაობით, ზღვისუბანში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

საქალაქო მნიშვნელობის „ზღვისუბნის პარკის“ დაგეგმვა ე.წ. ,,თემქის ხევის“ ადგილზე

„თემქის ხევის“ საკითხის მოგვარება იყო მოსახლეობის ერთ-ერთი უპირველესი თხოვნა, რომელსაც ისინი აფიქსირებდნენ მაჟორიტარ დეპუტატთან შეხვედრებზე. შედეგად, დეპუტატის აქტიური და კოორდინირებული მუშაობით, საკითხის მოგვარების მიზნით, გადაიდგა არაერთი ნაბიჯი, მათ შორის, მოქალაქეებთან ერთად საჯარო განხილვები, რომლებშიც ასევე, მონაწილეობას თბილისის მერის მოადგილე, მაია ბითაძე იღებდა. თბილისის ახალი გენგეგმის პროექტი ითვალისწინებს საქალაქო მნიშვნელობის ,,ზღვისუბნის პარკის“ მოწყობას. ხევი წლების განმავლობაში პრობლემურ საკითხად რჩებოდა და წარმოადგენდა მოსახლეობისთვის საშიშროებას, ერთი მხრივ მწერებისა და ქვეწარმავლების მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ, ქმნიდა ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს.

სკვერები

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, ზღვისუბანში ახალი სკვერი მოეწყობა, რომელსაც ჩარგლისა და ანაპის ქუჩების კვეთაზე სამშენებლო კომპანია ,,რივა“ ნაძალადევის

რაიონის გამგეობაში ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე განახორციელებს. აღნიშნული სკვერის მოწყობა უკვე მიმდინარეობს, 3 200 კვ.მ ფართობზე დამონტაჟდება ტრენაჟორები, საბავშვო ატრაქციონები და მოსასვენებელი სკამები.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ზღვისუბნის მე-3 მ/რ-ის მე-4 კვარტლის 57 კორპუსთან არსებულ სკვერს; გარდა ამისა:

საბავშვო ატრაქციონები მოეწყო 2 ლოკაციაზე:

- ზღვისუბნის მე-4 კვარტლის მე-7 კორპუსის მიმდებარედ;
- ზღვისუბნის მე-3 მ/რ-ის მე-2 კვარტლის 30-ე კორპუსის მიმდებარედ.

ფანჩატურები მოეწყო 2 ლოკაციაზე:

- ზვისუბანის მე-11 მ/რ-ის I კვარტლის N16;
- ზღვისუბანი მე-3 მ/რ-ის მე-4 კვარტლის N54.

საანგარიშო პერიოდში მოეწყო ტრენაჟორების კომპლექსი ზღვისუბნის მე-3 მ/რ-ის I კვარტლის 22-ე კორპუსთან და ჩატარდა 9 სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე:

1. ზღვისუბნის მე-11 მ.რ. მე-3 კვ. N58 კ-ის მიმდებარედ;
2. ზღვისუბნის მე-3 მ.რ. 1 კვ. N# 4-5 კ-ის მიმდებარედ;
3. ზღვისუბნის მე-9 კვ. N#15ა და 15ბ კ-ის მიმდებარედ;
4. ზღვისუბნის 10ა კვ. კ-42 -ის მიმდებარედ;
5. ზღვისუბნის მე-9 კვ. კ-19 -ის მიმდებარედ;
6. ზღვისუბნის მე3 მ/რ-ის მე-2 N23 კორპუსის მიმდებარედ;
7. ზღვისუბნის მე-11 მ/რ-ის I კვარტლის N3, ბავშვთა საავადმყოფოს მიმდებარედ;
8. ზღვისუბნის მე-3 მ/რ-ის მე-5 კვარტლის N10 და N13 კორპუსების მიმდებარედ;
9. ზღვისუბნის მე-11 მ/რ-ის მე-2 კვარტლის N23 კორპუსის მიმდებარედ.

ზღვისუბნის იერსახის მოწესრიგებისთვის წლის განმავლობაში ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან კოორდინირებული და ეფექტიანი მუშაობით, მაჟორიტარი დეპუტატის თამარ ტალიაშვილის შუამდგომლობით, განხორციელდა არაერთი სამუშაო, მათ შორის:

1. ზღვისუბნის მე-3 მ/რ-ის მე-2 კვარტლის N3-ში ბილიკისა და მოაჯირის მოწყობა;

2. ანაპის 414-ე დივიზიის სახ. ქ-ის 55-ის მიმდებარედ, ლითონის ღობის მოწყობა.
3. ზღვისუბნის მე-10ა კვარტლის 39 კორპუსთან ამორტიზირებული ძველი ატრაქციონების დემონტაჟი;
4. ზღვისუბნის მე-11 მ/რ-ის I კვარტალის 48-ე საჯარო სკოლაში შშმ-ბავშვებისათვის პანდუსისა და მასზე ფილების აგრეთვე, დამატებითი ჰორიზონტალური მოაჯირის მოწყობა;
5. ზღვისუბნის მე-3 მ/რ-ის მე-3 კვარტლის 44 კორპუსის მიმდებარედ ბეტონის ბორდიურის მოწყობა;
6. ზღვისუბნის მე-10 კვარტალის 36ა კორპუსთან საპარკე ღობის შეკეთება;
7. ზღვისუბნის მე-10 კვარტალის N36ა კორპუსის წინ სკვერში დეკორატიული მოაჯირებისა და ბეტონის ფილების მოწყობა;
8. ზღვისუბნის მე-10 კვარტლის N36ა კორპუსის წინ ბეტონის ბორდიურების შეკეთება.

ზღვისუბანში გაიხსნა თბილისის ახალი სპორტული ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს ცურვის, წყალბურთის, კრივის, მხატვრული ტანვარჯიშის სექციები, ჯამში კი 1000-ზე მეტ მოქალაქეს მოემსახურება.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა შეკეთება

დეპუტატ თამარ ტალიაშვილის რეკომენდაციით, 2018 წლის ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში, ასახული იქნა ყველა ის პრობლემური მისამართი, სადაც წლების განმავლობაში არ მომხდარა გზის საფარის შეცვლა, რაც მოსახლეობისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა.

შედეგად, კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მონადირის ქუჩას, სადაც პროექტის ფარგლებში სრულიად შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები და მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, გზების რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ 7 საგზაო მონაკვეთზე:

1. შატილის ქ. N3;
2. ანაპის 414 დივიზიის სახ. ქ-ის შესახვევი;
3. ზღვისუბნის მე-11 მ/რ-ის მე-2 კვარტლის N40ბ - შიდა კვარტალური გზა;
4. ზღვისუბნის მე-11 მ/რ-ის მე-3 კვარტლის 58-ე კორპუსთან;

5. ზღვისუბნის მე-11 მ/რ-ის მე-3 კვარტლის 58-ე კორპუსთან არსებული გზის მიმდინარე შეკეთება;
6. ავშნის მე-2 შესახვევი;
7. ზღვისუბნის მე-3 მ/რ-ის მე-5კვარტლის N5ა, N6ა და N5ვ კორპუსებთან მისასვლელი გზა (მიმდინარე).

ასევე, 6 საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის ჩატარდა საპროექტო სამუშაოები, ესენია:

1. ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა;
2. ზღვისუბნის, მე-11 მ/რ-ის მე-3 კვარტლის N58-ის მიმდებარედ;
3. მონადირის მე-2 შესახვევი;
4. ავშნის ქ-ის მე-II შესახვევი;
5. მონადირის ქუჩის I შესახვევი;
6. ზღვისუბნის მე-11 მ/რ-ის I კვარტლის N20 კორპუსის მიმდებარედ.

მოქალაქეთა მომართვიანობისა და საჭიროებების გათვალისწინებით, დასრულდა და მიმდინარეობს კორპუსებიდან სატრანსპორტო კვანძზე ჩასასვლელი კიბეების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები:

1. ზღვისუბნის მე-4 მ/რ-ის მე-6 კორპუსის უკან;
2. ზღვისუბნის მე-4 მ/რ-ის მე-5ა კორპუსის მიმდებარედ;
3. ზღვისუბნის IV მ/რ-ის მე-11 კორპუსის უკან, სკვერიდან ეკლესიამდე კიბეები და მოაჯირი.

აგრეთვე, დასრულდა გზის დამჭერი კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოები ზღვისუბნის მე-11მ/რ-ის მე-2 კვარტლის ახალი სპორტული კომპლექსის მიმდებარედ.

წყალარინებისა და კანალიზაციის ქსელის მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა ფირცხალავას, ავალიშვილისა და ნუშის ქუჩების ნაწილზე.

საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სათანადოდ მოწყობისა და მოქალაქეთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, დეპუტატ თამარ ტალიაშვილის წარმომადგენლობის თანამშრომლებმა, მერიის სატრანსპორტო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად შეისწავლეს ზღვისუბანში არსებული ავტობუსების გაჩერებები, სამანქანო სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები, საგზაო ნიშნები. შედეგად,

აღინიშნა შესასრულებელი სამუშაოები, რომელთა განხორციელებაც ეტაპობრივად მიმდინარეობს.

ზღვისუბნის მცხოვრებლები მაჟორიტართან აყენებდნენ მუნიციპალური ტრანსპორტის საჭიროებას, რომელიც მათ ივერთუბანთან დააკავშირებდა. უწყებებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად, მაჟორიტარის ინიციატივით, შეიცვალა N60 ავტობუსის მარშრუტი და მოსახლეობას ემსახურება მეტრო ,,ღრმაღელიდან" თბილისის ზღვის ტერიტორიისა და ,,ივერთუბნის" გავლით რკინიგზის გადასასვლელ ხიდამდე, ასევე ამ მარშრუტს დაემატა 2 ახალი ავტობუსი.

გარემოს დაცვა

ზღვისუბნის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მაჟორიტარი დეპუტატი, თამარ ტალიაშვილი თანამშრომლობს შ.პ.ს. ,,ეკო-სერვისის" ჯგუფთან. შედეგად, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის ეზოში 20-მდე კვიპარისი დაირგო.

ზღვისუბანის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც არის საკმაოდ დიდი სივრცეები, სკვერები და თავისუფალი მინდვრები, სეზონზე არის დიდი მომართვიანობა მოსახლეობიდან ბალახის მოთიბვასა და ხეების სხვლა-ფორმირებასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში, მაჟრიტარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, ზღვისუბანში დაახლობით, 6200 კვ.მ ფართობზე მოითიბა ბალახი.

თამარ ტალიაშვილის ინიციატივითა და შუამდგომლობითა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ნაძალადევის რაიონის გამგეობისა და თბილისის ზღვის სამაშველო სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით, გასუფთავდა თბილისის ზღვის სანაპირო ზოლი და მოითიბა ბალახი.

ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

ზღვისუბანი გამოირჩევა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხრივ, აქ ძირითადად განთავსებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინები, დაახლოებით 270 კორპუსი.

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, შედგა შეხვედრა ნაძალადევის გამგეობაში ზღვისუბნის ბმა-ს თავმჯდომარეებთან ნაძალადევის გამგებელთან ერთად. შეხვედრის მიზანი მოსახლეობის ინფორმირებულობისთვის ბმა-ს თავმჯდომარეებთან ხშირი კომუნიკაციის სამომავლო ფორმატის განხილვა წარმოადგენდა.

დეპუტატის ინიციატივით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან თანამშრომლობის მიზნით, წარმომადგენლობაში შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სათათბირო.

საანგარიშო პერიოდში ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან კოორდინირებული მუშაობით თანადაფინანსდა ბმა-ს შემდეგი პროექტები:

ქანობრივი სახურავი მოეწყო ზღვისუბნის მე-11 მ/რ-ის I კვარტლის მე-4 კორპუსზე, ლიფტი დამონტაჟდა ზღვისუბნის მე-10ა კვარტლის მე-40 კორპუსში და აივანი მოეწყო მე-10 კვარტლის კორპუსის 28-ში. ასევე, ბრტყელი სახურავით გადაიხურა 11 კორპუსი:

1. ზღვისუბნის მე-11 მ/რ, II კვარტალი, 28ა კორპუსი;
2. ზღვისუბნის მე-11 მ/რ, I კვარტალი, მე- 4 კორპუსი;
3. ზღვისუბნის მე-3 მ/რ, მე-3 კვარტალი, 53-ე კორპუსი;
4. ზღვისუბნის მე-4 მ/რ, მე-2 კორპუსი;
5. ზღვისუბნის მე-3 მ/რ, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსი;
6. ზღვისუბნის მე-3 მ/რ, მე-5 კვარტალი, მე-5 კორპუსი;
7. ზღვისუბნის მე-4 მ/რ, 3გ კორპუსი;
8. ზღვისუბნის მე-3 მ/რ, მე-4 კვარტალი, 62-ე კორპუსი;
9. ზღვისუბნის მე-3 მ/რ, მე-5 კვარტალი, მე-7 კორპუსი;
10. ზღვისუბნის მე-3 მ/რ, მე-2 კვარტალი, 38-ე კორპუსი;
11. ზღვისუბნის მე-11 მ/რ, მე-2 კვარტალი, მე-40 კორპუსი.

წყალსაწრეტი მილები მოეწყო:

1. ზღვისუბნის მე-11 მ/რ, II კვარტალი, 21-ე კორპუსი;
2. ზღვისუბნის მე-3 მ/რ, მე-2 კვარტალი, მე-20 კორპუსი.

ბმა-ს თანადაფინანსების ფარგლებში 13 კორპუსში ჩატარდა წყალკანალიზაციის სამუშაოები:

1. ზღვისუბანი, მე-11 მ/რ, II კვარტალი, 21-ე კორპუსი;

2. ზღვისუბანი, მე-11 მ/რ, III კვარტალი, 57-ე კორპუსი;
3. ზღვისუბანი, მე-11 მ/რ, III კვარტალი, 57ა კორპუსი;
4. ზღვისუბანი, IV მ/რ, მე-10 კორპუსი;
5. ზღვისუბანი, მე-11 მ/რ, I კვარტალი, მე-16 კორპუსი;
6. ზღვისუბანი, მე-11 მ/რ, I კვარტალი, მე-15 კორპუსი;
7. ზღვისუბანი, მე-11 მ/რ, I კვარტალი, 15ა კორპუსი;
8. ზღვისუბანი, მე-11 მ/რ, II კვარტალი, 32ა კორპუსი;
9. ზღვისუბანი, მე-11 მ/რ, მე-2კვარტალი, 28-ე კორპუსი;
10. ზღვისუბანი, მე-10ა კვარტალი, 41-ე კორპუსი;
11. ზღვისუბანი, მე-11 მ/რ, მე-2კვარტალი, 28ა კორპუსი;
12. ზღვისუბანი, მე-10 კვარტალი, 28-ე კორპუსი;
13. ნიშნიანიძის 35 (ზღვისუბანი, მე-3 მ/რ, მე-4 კვარტალი).

ჯანრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მაჟორიტარი დეპუტატი, თამარ ტალიაშვილი თავისი კომპეტენციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი პროგრამების წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს იმ მოქალაქეთა სრულ მხარდაჭერას, რომლებიც მიმართავენ სამედიცინო საჭიროებების მოგვარების მიზნით. საანგარიშო პერიოდში, დეპუტატ თამარ ტალიაშვილის მიერ დაყენებული შუამდგომლობების - გამოკვლევის, მედიკამენტოზური, ოპერაციული მკურნალობისა და სხვა სოციალური საკითხების - 80%-ზე მეტი დაკმაყოფილებულია, ნაწილი კი განხილვის პროცესშია.

მაჟორიტარის ინიციატივით ,,ახალი მზერასთან“ თანამშრომლობით წარმომადგენლობაში (ოფისში) ათობით ადამიანს უფასოდ ჩაუტარდა ოფთალმოლოგიური კვლევა.

განათლება, კულტურა, სპორტი და ახლგაზრდული საკითხები

მაჟორიტარი დებუტატი, თამარ ტალიაშვილი უშუალოდ ადგილზე შეისწავლის ზღვისუბანში არსებული დაწესებულებების საჭიროებებს. ზღვისუბანში შვიდი საჯარო სკოლა და ექვსი საბავშვო ბაგა-ბაღია.

მაჟორიტარი აქტიურად ესწრება ზღვისუბანში არსებული დაწესებულებების ღონისძიებებს. მათ შორის, ზღვისუბნის 113-ე ბაგა-ბაღში, რომელიც 450-მდე აღსაზრდელს ემსახურება, საახალწლო ღონისძიებას დაესწრო და ბაგა-ბაღის პერსონალს, აღსაზრდელებს და მათ მშობლებს მიულოცა შობა-ახალი წელი. ასევე აღნიშნულ ბაგა-ბაღში მაჟორიტარმა ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს“ სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაში მიიღო მონაწილეობა.

ზღვისუბანში მდებარეობს პეტრე ამირანაშვილის სახელობის N18 ხელოვნების სკოლა, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით გარემონტდა და ადაპტირდა. მაჟორიტარის ინიციატივით, განახლებული ხელოვნების სკოლა თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა ადგილზე მოინახულეს. სკოლაში ამჟამად ჯამში 108 მოსწავლეა, მათგან 48 კი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახების ბავშვები არიან, რომელთა სწავლების ხარჯს თბილისის მუნიციპალიტეტი აფინანსებს.

ღონისძიებები

- თამარ ტალიაშვილისა და პარლამენტის დეპუტატ სოფიო კილაძის ინიციატივით გაიმართა საქველმოქმედო გამოფენა ,,ბავშვები ბავშვებისთვის“, აღნიშნულ ღონისძიებაში ზღვისუბნის ყველა საჯარო სკოლა მონაწილეობდა, გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ და შეეძინათ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთა მიერ თანატოლების დასახმარებლად შექმნილი ნამუშევრები. პროექტის ფარგლებში, შემოსული თანხა სააღდგომო ნობათთან ერთად ზღვისუბანში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცა.
- მაჟორიტარის ინიციატივით, ზღვისუბანში მდებარე ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეები მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან ერთად იმყოფებოდნენ. მოსწავლეები საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში ჩაერთვნენ.
- თამარ ტალიაშვილის შუამდგომლობით, გლდანის სკოლების 60-მდე მოსწავლისთვის გამოიყო ტრანსპორტი, რის შედეგადაც ისინი ჩაერთვნენ საქველმოქმედო ღონისძიებაში, რომელიც ფონდის ,,ყველაფერი სიკეთისათვის“ მიერ იყო ორგანიზებული.

- მაჟორიტარმა ნაძალადევის გამგებელთან ერთად, ზღვისუბანში მცხოვრებ 93 წლის ომის ვეტერანს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა და პრემიერ-მინისტრის მილოცვა გადასცა.
- თამარ ტალიაშვილის ინიციატივითა და შუამდგომლობით, 1 ივნისს, ,,ბავშვთა დაცვის დღეს", წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია ზღვისუბანში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღის ბავშვების ტრანსპორტირებას ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ ორგანიზებულ კონცერტზე.
- მაჟორიტარის ერთ-ერთი მიზანია, რაც შეიძლება მეტ აქტივობაში ჩართოს ზღვისუბნის მოსახლეობა. შესაბამისად, მისი ინიციატივითა და შუამდგომლობით, ზღვისუბნელი პატარები და მათი მშობლები დაესწრნენ მთაწმინდაზე ნაყინის ფესტივალს. მათი ტრანსპორტირება თბილისის მერიის დახმარებით მაჟორიტარმა უზრუნველყო.
- თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, ზღვისუბნის ქალთა გუნდმა, მონაწილეობა მიიღო ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ დაორგანიზებულ 8 მარტის ღონისძიებაში ე.წ. ,,ველორბოლაში", სადაც მათ პრიზები გადაეცათ.
- მაჟორიტარი დეპუტატი ზღვისუბანში მდებარე პანსიონატს საახალწლოდ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა გაბუნიასთან ერთად ეწვია, ბენეფიციარებს ნობათთან ერთად საჭიროებიდან გამომდინარე, სამედიცინო ინვენტარი გადასცა.
- თამარ ტალიაშვილისა და მამა დავითის (მექვაბიშვილის) ძალისხმევით ზღვისუბანში შენდება ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, რომლის საძირკვლის გაჭრას მაჟორიტარი, ნაძალადევის გამგებელთან და მოსახლეობასთან ერთად დაესწრო.
- მასწავლებლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მაჟორიტარმა დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა, ზღვისუბნის საჯარო სკოლის ერთ-ერთ გამორჩეულ ღვაწლმოსილ პედაგოგს პროფესიული დღე მიულოცა და მას მადლობა გადაუხადა გაწეული ღირსეული შრომისთვის.

თამარ ტალიაშვილის, როგორც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თამარ ტალიაშვილი არის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ვიცე-პრეზიდენტი. ასოციაციის მიზანია, ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება, სახელმწიფო ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციების განვითარება.

ასოციაცია თანამშრომლობს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ გაერთიანებებთან. „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია“ (ათეა) არის საქართველოს მთავრობის პარტნიორი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის თვითმმართველობათა პალატაში დელეგაციის წარდგენისას.

ათეა-ს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოში „CEMR” დელეგაციის ძირითად შემადგენლობას, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი - თამარ ტალიაშვილი ხელმძღვანელობს.

,,ათეა“ ევროპულ მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოში ,,CEMR'' 2010 წლიდანაა გაწევრიანებული და აქტიურად მონაწილეობს ისეთი საკითხების განხილვაში, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდობის მონაწილეობა მართვაში, ენერგო ეფექტურობა და მიგრაციის საკითხები.

- **თვითმმართველობის განვითარების ხედვის პრეზენტაცია**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში, რომელზეც თვითმმართველობის განვითარების ხედვის პრეზენტაცია იყო წარდგენილი. სტრატეგიის თანახმად რეფორმის ძირითადი მიმართულებებია, მეტი საქმე, მეტი პასუხისმგებლობა, მეტი რესურსები და ფინანსების გადანაწილება თვითმმართველობებში, ასევე, გამჭირვალობა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია 8 წელზე იქნება გაწერილი და მუშაობის პროცესში უცხოელ პარტნიორებთან ერთად, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები იქნებიან ჩართულნი.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია კი რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გახდება.
დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი ეროვნული ხედვა რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მიმდინარე რეფორმის ნაწილია, რომელსაც აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები, მათ შორის გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობები.

დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა, როგორც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო შემდეგ შეხვედრებსა თუ დელეგაციებში:

- **2017 წლის 21 ოქტომბრის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ მოხსენება ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე**

2018 წლის 14 თებერვალს, ქალაქ სტრასბურგში ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელშიც საქართველოს დელეგაციის სახელით თამარ ტალიაშვილთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე ბექა დავითულიანი, რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ქავთარაძე.
საქართველოს შესახებ საინფორმაციო ხასიათის მოხსენებით, კომიტეტის წევრების წინაშე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, ევროპის საბჭოს რეგიონთა პალატის წევრი, სტიუარტ დიქსონი წარსდგა, რომელმაც საქართველოში 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დადებითად შეაფასა ორგანიზებისა და ჩატარების პროცესი, ადამიანის უფლებებისა და კანონიერების ევროპული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით.
თამარ ტალიაშვილი საქართველოს დელეგაციის სახელით სიტყვით წარსდგა აღნიშნულ მოხსენებასთან დაკავშირებით.

- **ევროპის საბჭოს კონგრესის 34-ე სესია**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ სტრასბურგში ევროპის საბჭოს კონგრესის 34-ე სესიაში - "უფლებებზე დაფუძნებული მმართველობა ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე".

კონგრესის 34-ე სესიის ფარგლებში საქართველოს დელეგაცია მონაწილეობდა სხვადასხვა თემატურ შეხვედრებსა და დისკუსიებში, მათ შორის: ადამიანის უფლებების ხელშეწყობა

ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე; ერის სახელმწიფოებრივი იდენტობა და მთლიანობა რეგიონულ დონეზე; დაუცველ ლტოლვილ ბავშვებთან მიმართებით ადგილობრივი ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა; ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტიის მიერ დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებასთან დაკავშირებული საერთო გამოწვევები სახელმწიფოში.

ქართულმა დელეგაციამ ევროსაბჭოს კონგრესის ადგილობრივ პალატაში გამართულ სესიაშიც მიიღო მონაწილეობა, რომელზეც საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების შესახებ კომიტეტის წინაშე მოხსენებით დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, ევროპის საბჭოს რეგიონთა პალატის წევრი, სტიუარტ დიქსონი წარსდგა. მის მიერ წარმოდგენილი მოხსენებით არჩევნების ჩატარების პროცესი დადებითად იყო შეფასებული.

არჩევნები ასევე, დადებითად შეაფასა კონგრესის გერმანელმა დელეგატმა ევროპის სახალხო პარტიიდან - ანდრეას გალსტერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დემოკრატიისა და რეფორმების თვალსაზრისით, საქართველო რეგიონში სამაგალითო ქვეყანაა, რომელიც სწორ გზაზე დგას და ამავე სულისკვეთებით უნდა განაგრძოს წინსვლა.

- ✓ <u>საქართველო ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება</u>

კონგრესის 34-ე სესიის ფარგლებში, დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა და საქართველოს დელეგაციის წევრებმა შეხვედრა გამართეს ევროპის საბჭოს კონგრესის გენერალურ მდივანთან - ანდრეას კიფერთან. მხარეებმა საქართველოს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის საკითხზე იმსჯელეს.

მხარეებმა არჩევის შემდეგ განსახორციელებელი ღონისძიებები განიხილეს, ევროსაბჭოსთვის აქტუალურ მნიშვნელოვან მიმართულებებზე ისაუბრეს და იმ გამოწვევებზე იმსჯელეს, რომელიც შესაძლოა მომავალში დადგეს საქართველოს, როგორც ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყნის წინაშე.

- ✓ **პრეზენტაცია გენდერულ თემაზე ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონების საბჭოს "CEMR" კონფერენციაზე სახელწოდებით, "თანასწორობის მრავალფეროვნება და ჩართულობა"**

თამარ ტალიაშვილმა, როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, მონაწილეობა მიიღო ესპანეთის ქალაქ ბილბაოში გამართულ ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონების საბჭოს “CEMR” კონფერენციაში სახელწოდებით, "თანასწორობის მრავალფეროვნება და ჩართულობა". დეპუტატი კონფერენციის მონაწილეების წინაშე გენდერული თანასწორობის საკითხების თემაზე პრეზენტაციით წარსდგა.

თამარ ტალიაშვილმა პრეზენტაციაში ყურადღება გაამახვილა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მნიშვნელობაზე და ამ მიმართულებით საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებზე. აგრეთვე, ისაუბრა ბოლო წლებში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, გატარებული რეფორმების თაობაზე, მათ შორის, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პლატფორმაზე, რომელიც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციაში (NALAG) შეიქმნა და მიზნად ისახავს საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და გენდერული სტრატეგიის შექმნის პროცესები.

- **ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის შეხვედრა ქალაქ სტამბოლში**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაში, რომლის ერთ-ერთ საკითხად საქართველოს შესახებ ანგარიშის პროექტი განიხილებოდა, რომლის თაობაზეც მოხსენებით დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, ევროპის საბჭოს რეგიონთა პალატის წევრი სტიუარტ დიქსონი გამოვიდა. მან თავის გამოსვლაში საქართველოში მიმდინარე პროცესები დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და დემოკრატიის გაძლიერების თვალსაზრისით საქართველომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. აღნიშნული ანგარიშის საბოლოო განხილვა კი მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება.

თამარ ტალიაშვილი, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. მან საქართველოში მიმდინარე პროცესებზე დეტალურად ისაუბრა და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, კონსტიტუციაში სუბსიდირების პრინციპების გაწერა, თვითმმართველი ორგანოების მუშაობის გამჭირვალობა და საქართველოს კანონმდებლობაში მოქალაქეთა

ჩართულობის ახალი მექანიზმების შეტანა მყარ საფუძველს ქმნის ადგილობრივ თვითმმართველობათა ფუნქციების განსაზღვრისა და მათი დამოუკიდებლობისთვის.

თამარ ტალიაშვილმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო დეცენტრალიზაციის პოლიტიკის მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს.

- **შეხვედრა საქართველოში ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის წევრებთან**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტისა და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრები ეწვივნენ.
შეხვედრაზე, მხარეებმა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფის, რეგიონული დემოკრატიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსიტიტუციების განვითარების მიმართულებით არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს.
ევროსაბჭოს მონიტორინგის წევრები - სტიუარტ დიქსონი და მიხალის ანგელოპოლუსი, ასევე ევროსაბჭოს მონიტორინგის მდივანი - სტეფანიე პოირელი და დამოუკიდებელი ექსპერტი საბერძნეთიდან - ნიკოლას-კომნინოს ჩლეპასი ქვეყანაში მიმდინარე საკითხებით დაინტერესდნენ და დეტალურად განიხილეს ის თემები, რომლებსაც ქვეყანა ევროპული ქარტიის ვალდებულებების ფარგლებში ახორციელებს.

- **ევროპის საბჭოს სამუშაო შეხვედრა - „კონსულტაციების მექანიზმები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის“**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს სამუშაო შეხვედრაში, სახელწოდებით „კონსულტაციების მექანიზმები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის, რომელიც ქალაქ ერევანში გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის დიალოგის მექანიზმებისა და კონსულტაციების პროცესში ეროვნული ასოციაციების ადვოკატირების როლზე იმსჯელეს.

თამარ ტალიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარა საქართველოს გამოცდილება და ისაუბრა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებათა შორის თანამშრომლობისა და

კონსულტაციების შექმნილი პლატფორმების შესახებ. ასევე, ყურადღება გაამახვილა დეცენტრალიზაციის პროცესში არსებულ საკონსულტაციო მექანიზმების ეფექტიანობაზე.

გამოსვლაში დეპუტატმა ასევე, ხაზი გაუსვა დეცენტრალიზაციის მიმდინარე პროცესზე, კერძოდ, ადგილობრივ თვითმმართველობათა გაძლიერების სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ღია, გამჭირვალე და ინკლუზიური საკონსულტაციო მექანიზმების გამოყენებას.

- **ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კოალიციის „პლატფორმის“ (PLATFORMA) 10 წლის საიუბილეო კონფერენცია**

თამარ ტალიაშვილმა, როგორც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ათეა-ს აღმასრულებელ დირექტორთან, დავით მელუასთან ერთად, ბრიუსელში ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კოალიციის (PLATFORMA) 10 წლის საიუბილეო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

თამარ ტალიაშვილი კონფერენციის მონაწილეების წინაშე მოხსენებით წარსდგა. მან გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) „2030“ მიღწევისა და ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის წარმატებით განხორციელების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებისა და ფუნქციების გაფართოების როლზე გაამახვილა ყურადღება.

თამარ ტალიაშვილმა ევროსაბჭოს ქვეყნების წარმომადგენლებს, თბილისის მაგალითზე, ადგილობრივი საერთაშორისო თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა გააცნო და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) და მერების შეთანხმების ფარგლებში, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ განხორცილებული წარმატებული პროექტების შესახებ ისაუბრა.

თამარ ტალიაშვილმა კონფერენციის მონაწილეებთან ერთად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დეცენტრალიზებული თანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე იმსჯელა. მონაწილეებმა ერთმანეთს საკუთარ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების გამოცდილება გაუზიარეს.

- **„ათეა''-ს წარმომადგენლების შეხვედრა უკრაინის უმაღლესი რადას სახელმწიფოებრივი მშენებლობის, რეგიონალური პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტის წევრებთან**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში, რომელზეც „ათეას" წარმომადგენლებმა უკრაინის რადას სახელმწიფოებრივი მშენებლობის, რეგიონული პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობების კომიტეტის წევრებს უმასპინძლეს. შეხვედრაზე სტუმრების მხრიდან ძირითადი დაინტერესება დეცენტრალიზაციის ეროვნული სტრატეგიის თემამ გამოიწვია.

„ათეა"-ს წარმომადგენლებმა დეცენტრალიზაციის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის მნიშვნელობაზე დეტალურად ისაუბრეს.

ქართულმა მხარემ უკრაინელ სტუმრებს, ასევე საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფის, რეგიონული დემოკრატიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციების განვითარების მიმართულებით არსებულ ვითარებაზე მიაწოდა ინფორმაცია და იმ ცვლილებებზე ისაუბრა, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე ბოლო წლებში განხორციელდა.

- **პირველი ეროვნული კონფერენცია - ,,გენდერული თანასწორობის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე"**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში პირველი ეროვნული კონფერენცია - ,,გენდერული თანასწორობის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე", რომელიც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით გაიმართა.

თამარ ტალიაშვილმა კონფერენციაზე ბოლო წლებში საქართველოში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით გატარებულ რეფორმებზე ისაუბრა.

კონფერენციის ძირითადი ნაწილი საქართველოს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში 2016 წელს შესულ შესწორებებს დაეთმო, რომლებიც საკრებულოებში გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნას, ასევე, მუნიციპალიტეტების მერიის აპარატში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მოხელეთა თანამდებობის შემოღებას გულისხმობს.

ღონისძიებას, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით გაიმართა, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების წევრები, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ. აგრეთვე, სპეციალურად ამ კონფერენციისთვის თბილისს ნორვეგიის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა ასოციაციის საერთაშორისო პროექტების მრჩეველი - ბიორნ რონგევარი ეწვია.

- **ინიციატივა გენდერული თანასწორობის პლატფორმის ფარგლებში საკოორდინაციო საბჭოს შექმნის თაობაზე**

თამარ ტალიაშვილმა, როგორც ათეა-ს ვიცე-პრეზიდენტმა გენდერული თანასწორობის პლატფორმის ფარგლებში საკოორდინაციო საბჭოს შექმნის ინიციატივა დააყენა. დეპუტატი ინიციატივით საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სამუშაო შეხვედრაზე გამოვიდა.

ინიციატივის მიზანს გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების ფარგლებში, ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობა წარმოადგენს.

აღნიშნული საკოორდინაციო საბჭო ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის გაძლიერებასა და გენდერული მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე უფრო ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

ათეა-ში უკვე შექმნილია ქალთა ქსელი, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მომუშავე გენდერული საბჭოს წევრებს საშუალება მიეცემათ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და ერთად განიხილონ ის ინიციატივები და გამოწვევები, რომლებიც მათ რეგიონში არსებობს.

- **ათეა-ს გენდერული თანასწორობის საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომა**

თამარ ტალიაშვილმა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის გენდერული თანასწორობის პლატფორმის შეხვედრას უხელმძღვანელა. შეხვედრის მონაწილეებმა იმ ძირითად პრინციპებზე იმსჯელეს, რომლებიც ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიმართულებით, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულებას გულისხმობს.

თამარ ტალიაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საბჭო ათეა-ს პრეზიდენტის, დედაქალაქის მერის, კახა კალაძის ინიციატივით შექმნილი გენდერული თანასწორობის პლატფორმის მოტივის საფუძველზე ჩამოყალიბდა და მისი მიზანია ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამოცდაოთხივე მუნიციპალიტეტში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრის მონაწილეებმა საქართველოს მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მათი ცნობიერების ამაღლების კუთხით განსახორციელებელ ღონისძიებებზე იმსჯელეს და უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით საკუთარი წინადადებები წარმოადგინეს.

- **შეხვედრა - საქართველოს დელეგაციები ევროპულ ინსტიტუტებში (The Congress/CoE, Cemr, Corlear)**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში სახელწოდებით, ,,საქართველოს დელეგაციები ევროპულ ინსტიტუტებში“ (The Congress/CoE, Cemr, Corlear). შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ თბილისის მერი და ათეა-ს პრეზიდენტი, კახა კალაძე და ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის გენერალური მდივანი ანდრეას კიფერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი კრისტიან ურსე, ათეა-ს ვიცე-პრეზიდენტი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და გიორგი ტყემალაძე, ათეა-ს აღმასრულებელი საბჭოს წევრები, ასევე, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, ზაზა გაბუნია, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი დავით მელუა, მისი მოადგილე, ნათია ღვინაშვილი და დედაქალაქის საკრებულოს წევრები.

ანდრეას კიფერმა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ქვეყანამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. მისივე თქმით, ევროსაბჭოს კონგრესი საქართველოს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მჭიდროდ თანამშრომლობს, რაც ერთობლივი რეფორმების წარმატებით განხორციელებას უწყობს ხელს.

შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა, რომელზეც დელეგაციების სამოქმედო სტრატეგიებზე, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმებსა და დეცენტრალიზაციის პროცესის სიახლეებზე ისაუბრეს.

ამავე შეხვედრის ფარგლებში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის 2018-2020 წლების სტრატეგიის პრეზენტაციაც გაიმართა.

ღონისძიების შემაჯამებელ სიტყვაში თამარ ტალიაშვილმა, როგორც ათეა-ს ვიცე-პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა ევროსაბჭოს კონგრესის გენერალური მდივნის, ანდრეას კიფერის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოში რეფორმების წარმატებულად განხორციელებას.

- **ათეა-ს წარმომადგენლების შეხვედრა ჩეხეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან**

თამარ ტალიაშვილი, როგორც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ათეა-ს აღმასრულებელ დირექტორთან, დავით მელუასთან და მის მოადგილესთან, ნათია ღვინაშვილთან ერთად ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ტომაშ პერნიცკის, ასევე, ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების კავშირის (SMO CR) და უცხოური განვითარების თანამშრომლობის მეწარმეთა პლატფორმის (PPZRS) ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

შეხვედრა ჩეხეთის საელჩოში გაიმართა და მასზე მხარეებმა საკუთარი ორგანიზაციების შესახებ ისაუბრეს და ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმები დასახეს.

თამარ ტალიაშვილმა, რომელიც შეხვედრას უძღვებოდა, აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები და ორი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება პროდუქტიული და სასარგებლო იქნება, როგორც საქართველოს, ასევე ჩეხეთის რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისთვის.

შეხვედრაზე ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ექსპერტმა, ნინო ზურაბიშვილმა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ პრეზენტაცია წარადგინა და დეცენტრალიზაციის მნიშვნელობასა და საქართველოს მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა.

- **შეხვედრა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესის შესახებ**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში, რომელზეც საქართველოში დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესზე იმსჯელეს. შეხვედრაში ასევე, მონაწილეობდნენ ათეა-ს წარმომადგენლები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, არასამთავრობო სექტორის წევრები და ექსპერტები.

სამინისტროს წარმომადგენლებმა დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ კონცეფციაზე ისაუბრეს და შეხვედრის მონაწილეებს ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 2025 წლისათვის კომპეტენციებისა და რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში გადავა, რაც მისცემს მათ ყველა აუცილებელ ბერკეტს ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

- **ათეა-ს აღმასრულებელი საბჭოს სხდომა ასოციაციის საქმიანობის 6 თვის ანგარიშის თაობაზე**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციაციის (NALAG) აღმასრულებელი საბჭოს 31-ე სხდომაში, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად ასოციაციის 6 თვის საქმიანობს ანგარიში განიხილეს.

აღმასრულებელმა საბჭომ ანგარიში დადებითად შეაფასა და ორგანიზაციის წევრებთან ერთად სამომავლო გეგმები დასახა. წევრებმა, ასევე, იმსჯელეს კარგი მმართველობისა და დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის სამუშაოების შესახებ.